

დავით აღმაშენებელი

## გალობანი სინანულისანი

რომლისაგა წინაშე ქედდადრევილ არს ყოველი მუგლი, ყოველი მოდრკების და ენაჲ ყოველი შენსა ვმობს აღსარებასა; მეცასიტყუაო, აღმსარებელსა მომხედენ!

ხატსა თუსსა მამსგავსე და საკრველად გრძნობადისა და გონიერისა მყოფობისად დამაწესე, შენებრ არსთა სიტყუებისა ჩემ შორისცა შეკრებიტა, ხოლო მე უმადლო გექმენ.

ბუნებითნი რაჲ ძალნი არა სჯულთაებრ ვიგუმიენ, მსგავსებისაგან დავაკლდი და დავჰბადე ბოროტი, ხოლო ხილულთა-მიერსა გემოვნებასა ვრცელად განუხუენ გრძნობანი.

ქალწულო, ბრალეულთა თავსმდებო, რომელმან სიტყუაჲ განაზრქვე დაკრვითა გორცთა მიწისაჲთა, სიზრქე უსასოებისაჲ განმძარცუე, რათა მონანული შეგივრდე შენ.

ბუნებითსა რაჲ პორფირსა თუთმფლობელობასა თანა მეფობისაჲცა შარავანდედნი მარწმუნენ, ხოლო მე ვნებათა ბილწთა მონებად მივჰყიდე თავი, რამეთუ რომლისაგანცა ვინ ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არიან.

კაენის მკულელებრი ცნობაჲ, სეითის მეთა ლირწებაჲ, გამირთა სილოდით მავალობაჲ, ხუთქალაქელთა შეგინებისა მწურე უფროჲსად ვამრავალწილე, ვითარცა რაჲ დაღმართ-მსრბოლმან მდინარემან უკეთურებისამან.

მეგუპტური გულმძიმობაჲ, ქანანელთა ჩუჩლუბანი, მსხუერპლვაჲ ნაშობთაჲ, ზმნაჲ და სახრვაჲ, კოწოლი თმათაჲ და სხუანი, რომელთაჲ შენ ჰბრძანე არამსგავსებაჲ, უწარმდებესად მოვიგენ თუთ მათ პირმშოთა სახეთასაგაჲ.

ამისთუს იყო ქალწული და გორცქმნაჲ სიტყუსაჲ, რათა დედობრივთა ოხათა მიერ ცხონდენ ცოდვილნი, რომელთაჲ პირველი, საშუალო და დასასრული მე ვარ, ვითარცა უფსკრული შესაკრებელი ბილწებისა ღუართაჲ.

ისრაელისა მეფეთა ვჰბაძევედ, გარნა უმჯულოთა, და რავდენ მემლო, ვსცთებოდე მაღალთა ზედა კუმევისა და წარმართთა აღრევისა მიერ და ძალთა ცისათა თაყუანის-ცემისა.

ზენაძესა მოძრაობისა ასურასტანული ზმნობაჲ და ცთომილთა ვარსკულავთა და უცთომელთა კრებაჲ, განყრაჲ, სუე და ბედი და შობის დღე, ვითარ საღმრთოთა უსმენელმან, ვიჩქურენ.

ელლინთა-მიერი ვერცნობაჲ სიბრძნეთა ღმრთისათაჲ, ღმრთისა და შემოქმედისაგან შექმნულთა მიმართ ცვალებაჲ თაყუანის-ცემისაჲ სრულ ვყავ, რაჟამს თითოეულისა ვნებისა კერპსა ვჰმსახურე.

ამისთჳს ღმერთ-მამაკაცებრ მოქმედ იქმნა ზესთა ღმერთი, რათა კაცებრ უწყოდნის ვნებანი ჩუენნი და ღმრთეებრ იგსნიდეს ბრალთაგან, რომელთა ღმრთისმშობელად ქადაგონ წმიდაჲ ქალწული დედაჲ.

სჯულნი დავთრგუნენ წიგნისა[ნი] და ახალი ბუნებითი, და კულად სხუაჲ, სჯულისა შენისა მოწამე, სჯული გონებისაჲ, ცოდვათა და გორცთა შჯულსა დავამონე.

თითოეულსა მგეცთაგან შეზავებულსა მგეცსა ვემსგავსე მრავალგუარსა და მრავალხატსა და სხუა ჟამ სხუებრ ხილულსა და მკსინვარსა ბუნებისაებრ თითოეულისა.

არა შევძრწუნდი მანგლისაგან მფრინვალისა, რომელი შურსა სიკუდილისასა მიჰყდის, რომელნი ჩემებრ მიმდემად ცრუდ ფუცვიდენ განსაკრთომელსა სახელსა შენსა.

ამისთჳს სისხლთა ქალწულებრივთაგან გორცნი ღმრთისანი და ახალი შეზავებაჲ იქმნა<sup>1</sup>, ღმერთი და კაცი, რათა იოხდეს დედაჲ ჩემებრ განწირვით უსასოქმნილთა.

სოლმონისაჲსა წურბლისა მსგავსად ვერმადარი სხუათა სოფლის-კიდეთა ვეძიებდ დასაპყრობელად და ღმრთისა საზღვართა ვაბრალობდ, ვითარცა მცირეთა და უნდოთა, ჩემისამდე უძღებებისა და გულის-თქუმისა.

ბოროტად გარდავგედ საზღუართა და შევჰრთე სახლი სახლსა და აგარაკი აგარაკსა და უუძღურესთა მივჰხუეჰე ნაწილი მათი და ვიღუწიდ უმეზობლობასა, ვითარმცა მარტოჲ ვმკვდრობდ ქუეყანასა ზედა.

მბრძოლ ვექმენ ყოველთა წესთა სჯულისათა და ქორწილთა მიერ ხენეშთა ვჰმძლავრე საწოლსა ჩემსა, და სახეთა მიერ ბოროტთა მიცემითა ვაცოდვე ერი ჩემი, ვითარცა იგი მეფეთა მისთა ისრაელი.

ამისთჳს ქალწული დედაჲ და შობაჲ ახალი სიტყუსაჲ [იქმნა], რათა ახალი ხატყოფაჲ მეორედ მისცეს ცოდვით განმრყუნელთა მისთა, დედობრივთა რაჲ ოხათა ბრძმედითა დაადნოს ყოველი ნივთი შეცოდებისაჲ.

ვეცხლი, ვითარცა მიწაჲ, და ოქროჲ, ვითარ თიგაჲ უბნისაჲ, ვიუნჯენ და თაყუანის-ვეც ანგაჰრებისა მამონას, ვითარ-იგი ძუელთა მათ ბაალს და ასტარტეს და ქამოსს სამაგელსა.

სიტყუად ღმრთისაჲ და ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ, ხოლო მლიქნელთა ძმაცული სივერაგე ვითნე და შემასმენელთანი დავიტკბენ ზრახვანი და ცრუნი განვსცენ მსჯავრნი.

ცრემლნი ქურივთანი და ობოლთა ბრგუნვილი ტირილი არა შევიწყალე, არა განუხუენ ნაწლევნი მოქენეთა, უფროჲსდა შენ, ქრისტე, რომელი იზრდები მცირედითა ზრდითა მათითა.

ამისთჳს შობაჲ ღმრთისაჲ ადამიანისაგან დედაკაცისა 1იქმნა<sup>1</sup>, რათა მიწით-შობილთა კაცთა ცთომასა, ვითარცა ღმრთისა დედაჲ, დაჰქსნიდეს ქალწული და იოხდეს ცოდვილთა.

ესენი ვცოდენ: სახარებისა სჯულთა და მცნებათა შენთა შინა მცემელთა რაჲ ყურიმლისა მიჰპრობასა და გლახაკთათჳს განშიშულებასა და რადთურთით არა ფიცსა შენ, სჯულის-მდებელი ჩემი, ჰბრძანებდი და გულის-თქუმით მიმხედველობასა განსრულებულად მრუშებად დასდებდი.

დაღაცათუ ესრეთ განვხრწნენ ყოველნი გრძნობანი და ყოვლადხწნილება ვიქმენ, გარნა არავე აღვიხუენ ველნი, არცა დავდეჲს სასობაჲ ჩემი ღმრთისა მიმართ უცხოჲსა, არცა უცხოთესლი რადმე სარწმუნოებაჲ საწურთელ-ვყავ სულისა, გარეშე მისსა, რომელი მასწავეს ღმრთისმეტყუელთა შენთა.

და აწ, მომდრეკელი მუგლთა გულისათაჲ, ვგმობ, ვითარცა სხუად მანასე: მილხინე, ჰ მეუფეო, მილხინე, და ნუ წარმწყმედ ცოდვათა შინა და ნუ მოიგსენებ ძჳრთა ჩემთა და ნუ დამსჯი მე ქუესკნელთა თანა, რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთაჲ, ამადლებული ზესკნელს ცათა ძალთაგან.

საკუთრად ღმრთისმშობელად გქადაგებთ, უხრწნელო ქალწულო, და გურწამს, ვითარმედ პატივი ხატისა შენისაჲ შენდამო წიად-მოვალს < და > ღმრთის-მეტყუელთაებრ და ცოდვილთა მოქცევასა ანიშებ მის მიერ, ვითარცა ცხად ჰყოფს თეატროჲ იგი მრჩობელთა სოფელთაჲ დ სიკეთე ეგჳპტისაჲ, ღირსი მარიამ.

ჟამი რაჲ წუხილთა და ავთა აღმოფშვნათაჲ წარმოდგეს, ზარი მეფობისაჲ წარგდეს და დიდებაჲ დაშრტეს, შუებანი უქმ იქმნნენ, ყუავილოვნებაჲ დაჭნეს, სხუამან მიიღოს სკიპტრაჲ, სხუასა შეუდგენ სპანი, - მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!

გან-რაჲ-ელოს წიგნი დღესა შინა სასჯელისასა და მე ქედდადრეკილი წარმოგიდგე განკითხვად, მსაჯული მართლ სჯიდეს, მსახურთა რისხუად ქროდის, მართალნი ნეტარებდენ, ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი, - მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!

ვინაჲთგან აღსარებით გრძნობად და შეკრებად იწყო ძუალი ძუალსა თანა და ნაწევარი ნაწევარსა და განგმელთა მოჰბერა სული კუალად-

გებისად, მრწამს, ვითარმედ აღვსებად სრულ-ყოს ღმერთმან ჩემ შორის ყოველივე სინანულით აღდგომისად.

მარტო სრულო სამ-მზეო, ერთ-ცისკროვნებო, განმინათლე მხედველობად სულისად, რათა გიხილო ნათელი ნათლითა უფლისადთა, სულითა ღმრთისადთა ძე გამოგვიბრწყინვო მაშინ დაუსრულებელთა საუკუნეთა.

არად უხილავს მზესა ქალწული დედად, თჳნიერ შენსა, არცა ჩემოდნად ბრალეულსა ნათელი მისი, გარნა მე შენითა ოხითა, დედოფალო, ვესავ ხილვად ნათელსა ძისა შენისასა და ნათელსა ზემთა საუკუნეთასა.